# თხილი და კბილი
# Nut And Tooth

ტექსტი ილია სიხარულიძის
Text by Ilia Sikharulidze

ლიანა რობიტაშვილი
Liana Robitashvili




მიყვარს თაფლი, თხილი,
ჩამიჩი და ჩირი.
ჰო... და ერთხელ თხილმა
ამატკივა კბილი.

ყბააკრულმა ექიმს
მივაკითხე დილით.
სწრაფად, სულ ერთ წამში
ამომიღო კბილი.

როცა სახლში მივედი,
დამიმალეს თხილი,
ახლა რაღა დროსია,
აღარა მაქვს კბილი.